შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/08 10 თებერვალი 2011 წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2013 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №01-01/56 (სახელწოდების ცვლილება)

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების

დებულება

თბილისი

2013 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2.აღნიშნული დებულება განსაზღვრავს განყოფილების სამართლებრივ სტატუსს, მიზნებს და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

1.3.განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით;

1.4.განყოფილება ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი2. განყოფილების მიზნები და ამოცანები

2.1. განყოფილების მიზანია:

ა. სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა; სტუდენტთა საქმიანი ინიციატივების და აქტიურობის ყოველმხრივი წახალისება, მხარდაჭერა და კოორდინირება; ჯანსაღ სპორტულ-შემოქმედებით სტუდენტურ ცხოვრებაში სტუდენტთა მოტივირებისა და ჩართვის უზრუნველყოფა;

ბ. გთსუ-ს სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომების გზების ძიება, მათთან გულისხმიერი და კოლეგიალური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა;

გ. კურსდამთავრებულებსა და უნივერსიტეტს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა, მის განმტკიცებასა და განვითარებაზე ზრუნვა.

2.2. განყოფილების ამოცანებია:

ა. შემოქმედებითი, სპორტული, შემეცნებითი, საქველმოქმედო ღონისძიებების, გამოფენების დაგეგმვა, ორგანიზება, შეფასება;

ბ. სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა და კოორდინირება;

გ. სხვადასხვა სტუდენტურ პროგრამებზე (როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისევე საზღვარგარეთ) ინფორმაციის მოძიება, გავრცელება და მათში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

დ. შესაბამის ფაკულტეტთან ერთად სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციებში სტუდენტთა ექსკურსიების ორგანიზება;

ე. პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიურ სტრუქტურებთან ურთიერთობების განმტკიცება და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ. ფაკულტეტებთან მჭიდრო ურთიერთოებებით სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზება, მათი მოლოდინების, პრობლემების, წინადადებების, მოსაზრებების ანალიზის მიზნით; ანალიზის შედეგების წარდგენა შემდგომი რეაგირებისათვის;

ზ. სტუდენტთა კანონით დაშვებული მონაცემთა ბაზის შექმნა (სპეციალური საჭიროებების სტუდენტები, ფეხმძიმე სტუდენტები, სტუდენტი მცირეწლოვანი შვილით/შვილებით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შექმნილი ოჯახები, წარჩინებული სტუდენტები; სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ საზღვარგარეთ და სხვა), მისი მუდმივი განახლება . ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელებისათვის მასზე შემდგომი რეაგირების მიზნით.

თ. კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზის შექმნა-განახლება;

ი. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაციის ჩამოყალიბების ორგანიზება;

კ. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა სხვადასხვა თემატური შეხვედრების ორგანიზება;

ლ. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ კურსდამთავრებულთა ინფორმირება მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური ჩართვის მიზნით.

მუხლი3. განყოფილების მართვა და სტრუქტურა

3.1. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების განყოფილებაში არის 2 საშტატო ერთეული: განყოფილების უფროსი და განყოფილების მთავარი სპეციალისტი, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი;

3.2. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომელიც:

ა. განსაზღვრავს და წარმართავს განყოფილების სტრატეგიას, საუნივერსიტეტო სტრატეგიის შესაბამისად;

ბ. შეიმუშავებს მოკლე და გრძელვადიან გეგმებს;

გ. ამზადებს წინადადებებს განყოფილების განვითარების შესახებ და წარუდგენს რექტორს და რექტორის მოადგილეს;

დ. ასრულებს ამ დებულების 2.2. პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

ვ. საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან;

3.3. განყოფილების უფროსის არყოფნის დროს მის უფლებამოსილებას ასრულებს განყოფილების მთავარი სპეციალისტიო; რომლის ფუნქციებია:

ა. განყოფილების უფროსის მითითებებისა და დავალებების შესრულება ამ დებულების 2.2. პუნქტებში მითითებული ამოცანების შესაბამისად;

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

4.1. დებულებას ამტკიცებს რექტორი, რექტორის მოადგილის წარდგინებით დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ან მისი გაუქმება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

4.2. განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.